

**21 ოქტომბერს ინსტიტუტი ტექინფორმი გიწვევთ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის
ორგანიზაციის UNFAO-ს საინფორმაციო სისტემების (AGRIS, AGROVOC) შესახებ
სემინარზე/სწავლებაზე**

სემინარი/სწავლება ჩატარდება 2021 წლის **21 ოქტომბერს 14:00 საათზე** FAO-ს მხარდაჭერით. სემინარი/სწავლების მიზანია საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის FAO-ს საინფორმაციო სისტემების გამოყენების, მისი მართვის პრინციპების გაცნობა და, ასევე, ქვეყნის აგროსფეროს სამეცნიერო მიღწევების შესახებ მსოფლიო საზოგადოების ცნობადობისა და ხილვადობის გაზრდა.

სემინარი/სწავლება განკუთვნილია სოფლის მეურნეობის სფეროს აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და სპეციალისტებისათვის, სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

განხილული იქნება **AGRIS**-ის სისტემაში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო შრომების ძიებასთან დაკავშირებული პრობლემები, ინფორმაციის განთავსების პრაქტიკული საკითხები, ჩანაწერების დახარისხება, მათი სტანდარტიზაცია, და აგრეთვე სამეცნიერო პროდუქციის აღწერისათვის თეზაურუს **AGROVOC**-ის გამოყენების შესახებ.

სემინარ/სწავლებას გაუმდგებიან და პრეზენტაციას ჩაატარებენ - **ნელი მახვილაძე** (ინსტიტუტის დირექტორი) და **მარინა რაზმაძე** (დირექტორის მოადგილე).

ამასთან ტექინფორმი კონსულტაციას გაუწევს ინფორმაციის ახალ მიმწოდებლებს (პროვაიდერებს) დარეგისტრირდნენ **FAO AGRIS**-ის სისტემაში და უშუალოდ განათავსონ ინფორმაცია თავიანთი სამეცნიერო პროდუქტის შესახებ.

სემინარში ჩაერთვებიან გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის **FAO**-ს წარმომადგენლები ძირითადი ოფისიდან.

მონაწილეებს დაურიგდებათ სერტიფიკატები!

ვებინარზე დასწრების მსურველები დარეგისტრირდით წინასწარ შემდეგ ბმულზე:

<https://us06web.zoom.us/meeting/register/tZclf-GtqDkuGNwUqQdUrpWb3MNUKzMXNHA6>

რეგისტრაციის მერე მიიღებთ დამადასტურებელ წერილს და საჭირო რეკვიზიტებს დარეგისტრირებულ ელ.ფოსტაზე.

საკონტაქტო პირები:

razmadze.m@gtu.ge, მარი რაზმაძე (593 636233)

nellym@gtu.ge, ნელი მახვილაძე (599 541416)

უფრო მეტი FAO-ს საინფორმაციო სისტემებისა და ინსტიტუტ ტექინფორმის შესახებ იხ. ქვემოთ:

FAO AGRIS - გაეროს სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო საინფორმაციო სისტემა - მრავალენოვანი ბიბლიოგრაფიული მონაცემების ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს მასშტაბით სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებული კვლევის შედეგებსა და ტექნიკური ინფორმაციის მდიდარ კოლექციაზე ხელმისაწვდომობას. **AGRIS**-ში განთავსებული რეფერატები და სტატიები ხილვადია **Google Scholar**-ში.

AGRIS-ში ჩანაწერები ინდექსდება **FAO**-ს მრავალენოვანი თეზაურუს **AGROVOC**-ის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ზუსტ იდენტიფიცირებას, სტანდარტიზებულ ინდექსირებას და ეფექტური ძიების ჩატარებას.

AGROVOC - წარმოადგენს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროს ურთიერთდაკავშირებული ცნებების ჰაბს. ის არის კონტროლირებადი ლექსიკონი და თეზაურუსი, რომელიც მოიცავს **FAO**-ს საქმიანობის ყველა სფეროს, აადვილებს სისტემის მონაცემების სტანდარტიზებას და მათი ძიების პროცესს. ამჟამად **AGROVOC** აერთიანებს 37 500-ზე მეტ ცნებას და 800 000-ზე მეტ ტერმინს 40-მდე ენაზე (მათ შორის ქართულზე), რაც შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს მოძიოს მონაცემები საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნილების მიხედვით.

სტუ. სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი - ტექინფორმი

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მრავალდარგოვანი და დარგთაშორისი ინსტიტუტი **ტექინფორმი** 2000 წლიდან წარმოადგენს **AGRIS**-ის ეროვნულ ცენტრს, ხოლო 2020 წლიდან ინფორმაციის მიმწოდებლების **ეროვნულ ჰაბს**.

ინსტიტუტი სისტემატურად აწვდის აღნიშნულ სისტემას საქართველოს სამეცნიერო შრომების (პუბლიკაციები, კონფერენციების მასალები, მონოგრაფიები, კვლევები და ა.შ.) რეფერატებსა და სტატიებს. დღეისათვის სისტემაში განთავსებულია 2000-ზე მეტი ჩანაწერი.

ტექინფორმი არის თეზაურუს **FAO AGROVOC**-ში ქართული ტერმინების ერთადერთი მიმწოდებელი და 2016 წლიდან თეზაურუსის სარედაქციო საბჭოს წევრი. ამჟამად თეზაურუსში ტექინფორმის მიერ განთავსებულია სულ 35 ათასამდე ქართული ტერმინი.

ინსტიტუტი არის **FAO**-ს წყლის მეცნიერებისა და მეთევზეობის სისტემის (მონაცემთა ბაზის) **ASFA**-ს ასოცირებული პარტნიორი, თანამშრომლობს **GODAN**-თან.

ტექინფორმში განთავსებულია **FAO**-ს **ეროვნული სადეპოზიტო ბიბლიოთეკა**.